ოქმი:**ო63. 63241233**
თარიღი:**02/05/2024**

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

რიგგარეშე სხდომის

ო ქ მ ი N 8

ქ. სამტრედია. 26 აპრილი, 2024 წელი.

2024 წლის 26 აპრილს, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, ნუგზარ ჯამბურიას, თავმჯდომარეობით ჩატარდა, სამტრედიის მუნიციპალიტეტის V მოწვევის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ: ნუგზარ ჯამბურია, ვაჟა სტურუა, ნათია პაპავა, ვალერიანე ფოცხვერია, მანანა სირბილაძე, მერაბ უღრელიძე, ტარიელ ცომაია, ირაკლი მელაშვილი, გიორგი ლეჟავა, ტარიელ დვალიშვილი, ზაზა ადეიშვილი, დავით ჯანელიძე, გოჩა არველაძე, პაატა კოხრეიძე, ჯონი თევზაძე, ლიზა კრავეიშვილი, ჯონი ახობაძე, მაია ტალაბაძე, ბადრი შენგელია, ლელა ჩორგოლაშვილი, გრიგოლ ჩიგოგიძე, გიორგი გაგუა, გივი ჯულაყიძე, კობა ძიძიგური, ემზარ შუბლაძე, დავით ნიკოლეიშვილი, აკაკი მინაშვილი, ავთანდილ თადუმაძე, ქეთევან კუტალაძე, მარიამ ბარბაქაძე, ლაშა გრიგოლია.

ასევე სხდომას ესწრებოდნენ:

1. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, ეკონომიკური სტატისტიკის, ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსი, ნოე ივანიაძე.

2. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელები, შესაბამის ადმინისტრაციული ერთეულიდან.

3. ა.(ა).ი.პ. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო ცენტრი''-ს ხელმძღვანელი, სოფიო კირთაძე.

4. გაზეთი ,,სამტრედიის მაცნე''-ს წარმომადგენელი, თეა ბაბუნაშვილი.

5. საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, აპარატის უფროსი, ნორა იანიკოვი.

სხდომის თავმჯდომარემ, საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 26 აპრილის რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულომ, საქართველოს ორგანული კანონის

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ პუნქტის ,,ბ.ი'' ქვეპუნქტისა და 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, განიხილა სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 26 აპრილის რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების საკითხი და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა

1. დამტკიცდეს სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 26 აპრილის რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგი:

1. ქალაქ სამტრედიაში, დავით აღმაშენებლის გამზირი №1-ის მიმდებარედ 3000.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.68.232), ქალაქ სამტრედიაში, გრიბოედოვის ქუჩაზე მდებარე 35695.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.48.859), სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ იანეთში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (660.00 კვ.მ) მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.07.45.550) არსებული №1 შენობა-ნაგებობის (საერთო ფართი 445.6 კვ.მ.), სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდი ჯიხაიშში 1-ლი ქუჩა №5-ში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (486.00 კვ.მ) მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.02.03.257), არსებული №1 შენობა-ნაგებობის და ქალაქ სამტრედიაში, **კალანდარიშვილის ქ.** №7-ში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (2223.00 კვ.მ.) (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.48.148), არსებული შენობა-ნაგებობების (№1 შენობა-ნაგებობის საერთო ფართი 590.70 კვ.მ. და №2 შენობა-ნაგებობის საერთო ფართი 24.00 კვ.მ) საპრივატიზაციო ობიექტებად განსაზღვრისა და პრივატიზაციის შესახებ.

/მომხსენებელი: ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ტ.ცომაია./

2. ქალაქ სამტრედიაში, თამარ მეფის ქუჩაზე მდებარე 33.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.56.084) განთავსებული 13.1 კვ.მ. შენობა-ნაგებობიდან 6.54 კვ.მ შენობა-ნაგებობის ელექტრონული აუქციონის წესით, იჯარის ფორმით, სარგებლობაში გაცემისთვის, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემისა და ქირის საწყისი წლიური საფასურის დადგენის შესახებ.

/მომხსენებელი: ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ტ.ცომაია./

3. სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ იანეთში მდებარე 3560.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.07.45.037) 500.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ელექტრონული აუქციონის წესით, აღნაგობის ფორმით, სარგებლობაში გაცემისთვის, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემისა და ქირის საწყისი წლიური საფასურის დადგენის შესახებ.

/მომხსენებელი: ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ტ.ცომაია./

4. ქალაქ სამტრედიაში, კოპალეიშვილის ქუჩაზე მდებარე 7171.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის - სპორტული მოედნის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.42.909) აღნაგობის ფორმით, უსასყიდლო სარგებლობაში გადაცემის შესახებ, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე.

/მომხსენებელი: ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ტ.ცომაია./

5. 2024 წელს, სამტრედიის მუნიციპალიტეტის დასახლებებში, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების მოწონების შესახებ.

/მომხსენებელი: ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ტ.ცომაია./

6. სხვადასხვა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 31-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (31 ხმით), დამტკიცდა განკარგულება, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 26 აპრილის სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ''.

განცხადების უფლება ითხოვეს საკრებულოს წევრებმა: ემზარ შუბლაძემ, ავთანდილ თადუმაძემ, კობა ძიძიგურმა.

ემზარ შუბლაძე - მაშინ როცა მთავრობა ქვეყანას რუსეთისაკენ მიექანება ჩვენს საზოგადოებას, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წევრები, არ ვაპირებთ სხდომაზე დასწრებას და ,,რაღაც'' საკითხების განხილვაში მონაწილეობის მიღებას. პირადად ჩემი თხოვნაა, საკრებულოს წევრებმა, რომლებიც ბრძანდებით დღეს ამ დარბაზში, (მათ შორის ბევრი ჩემთვის ძალიან საპატივცემულო პიროვნებები), დააფიქსირეთ თქვენი პოზიცია ქვეყანაში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით. ეს არის გზა რუსეთისკენ, თავისუფლების დაკარგვისაკენ, ეს არის საქართველოს ჩაბარება რუსეთისთვის. ძალიან კარგად მახსოვს, ადამიანები, რომლებიც ზვიად გამსახურდიას, თავის დროზე ლანძღავდნენ, ხოლო სულ რამოდენიმე თვის უკან, სამტრედიაში ჩატარებულ გამსახურდიასადმი მიძღვნილ საღამოზე კი, წინა რიგში ისხდნენ. სწორედ ამიტომ გთხოვთ, ყველამ დააფიქსირეთ თქვენი პოზიცია. დადგება ამ ქვეყანაში დრო, როდესაც ამ დღეებისთვის ყველას მოეკითხება. დაწყებული მაღალი ჩინის ადამიანიდან, დამთავრებული რიგითი მოქალაქით. ვინც არ დააფიქსირებს თავის მოსაზრებას რუსული კანონის წინააღმდეგ, მე მიმაჩნია ამ ქვეყნის მოღალატეებად. აღნიშნული კანონი არის რუსული, რომელიც სიტყვა-სიტყვით არის გადმოთარგმნილი რუსულიდან.

ავთანდილ თადუმაძე - ისტორია იწერება ბატონებო. დადგება დრო, როდესაც ეს კანონი და მისი მხარდამჭერები გამოცხადდებიან მოღალატეებად. მე შემოვდივარ წინადადებით, გამოვიყენოთ ადგილობრივი გაზეთი, ,,სამტრედიის მაცნე'', გავაკეთოთ სია ხელმოწერებით და გამოვაქვეყნოთ. კერძოდ ვინ არის ამ კანონის მომხრე, სახელი და გვარი. ვინ არის წინააღმდეგი. ეს იქნება ისტორიული გადაწყვეტილება და ფაქტი.

კობა ძიძიგური - ,,მე მინდა ჩემი პოზიცია დავაფიქსირო. საკრებულოს წევრებს არავინ არ ეკითხება აღნიშნული კანონის მიღება-არმიღებას. მიხედავად ამისა არის აგრესიულად მორჩილი უმრავლესობა დღეს, რომლებიც მხარს უჭერენ პარლამენტში წარმოდგენილ რუსულ კანონს. საქართველო, რომ დამოუკიდებელია დამეთანხმებით, ეს, რომ ძალიან კარგია, ამაში ეჭვი არავის ეპარება. ისევ რუსეთში შებრუნება გინდათ? მე მოწინააღმდეგე ვარ რუსული კანონის და პროტესტის ნიშნად ვტოვებ საკრებულოს სხდომას''.

ნუგზარ ჯამბურია - ვერ დაგეთანხმებით ბატონო კობა. ეს არის სწორედ ქართული ოპოზიციის სახე და მათი ქმედებებიც მოსალოდნელი იყო. ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ ქვეყანაში ნორმალური პირობები იყოს. დღეს, საკრებულოს სხდომაზე, საკმაოდ სერიოზული პროექტების მოწონების საკითხი უნდა გადავწყვიტოთ. ვთვლი, რომ ოპოზიციის ჩართულობა დიდი უნდა იყოს საკითხების დადებითად გადაწყვეტისათვის, მაგრამ მათ არ აინტერესებთ რა მოხდება ჩვენს მუნიციპალიტეტში. მადლობა ჩვენს სტუმრებს მობრძანებისთვის, ჩვენს საქმიანობაში ჩართულობისთვის. გთხოვთ, გავაგრძელოთ ჩვენი საქმიანობა წყნარად და მშვიდად.

გოჩა არველაძე - არ ვეთანხმებით ბატონო კობა თქვენს გამოსვლას. ჩვენ ნამდვილად არ ვართ აგრესიული მორჩილი უმრავლესობა. მაშინ როდესაც ჩვენს გვერდით იყავით ასე თვლიდით? მაშინ როდესაც საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე იყავით, მაშინაც მორჩილი უმრავლესობა ვიყავით? მაგრამ როგორც კი იგრძენით, რომ ქართული ოცნების გვერდით ვერ მოხვდებოდით, შეიცვალა თქვენი დამოკიდებულება.

საკრებულოს წევრებმა (9 წევრმა): ემზარ შუბლაძემ, ავთანდილ თადუმაძემ, აკაკი მინაშვილმა, ლაშა გრიგოლიამ, დავით ნიკოლეიშვილმა, მარიამ ბარბაქაძემ, ქეთევან კუტალაძემ, კობა ძიძიგურმა, გივი ჯულაყიძემ, პროტესტის ნიშნად დატოვეს საკრებულოს სხდომა.

დღის წესრიგის I საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, ტარიელ ცომაიამ, საკრებულოს წევრებს გააცნო, განკარგულების პროექტი, ქალაქ სამტრედიაში, დავით აღმაშენებლის გამზირი №1-ის მიმდებარედ 3000.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების,) საკადასტრო კოდი №34.08.68.232), ქალაქ სამტრედიაში, გრიბოედოვის ქუჩაზე მდებარე 35695.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.48.859), სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ იანეთში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (660.00 კვ.მ) მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.07.45.550), არსებული №1 შენობა-ნაგებობის (საერთო ფართი 445.6 კვ.მ.), სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდი ჯიხაიშში 1-ლი ქუჩა №5-ში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (486.00 კვ.მ) მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.02.03.257), არსებული №1 შენობა-ნაგებობის და ქალაქ სამტრედიაში, **კალანდარიშვილის ქ.** №7-ში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (2223.00 კვ.მ.) (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.48.148), არსებული შენობა-ნაგებობების (№1 შენობა-ნაგებობის საერთო ფართი 590.70 კვ.მ. და №2 შენობა-ნაგებობის საერთო ფართი 24.00 კვ.მ) საპრივატიზაციო ობიექტებად განსაზღვრისა და პრივატიზაციის შესახებ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24–ე მუხლის პირველი ნაწილის ,,ე“–ქვეპუნქტის ,,ე.დ“–ქვეპუნქტის, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილებით დამტკიცებული ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების“ მე–2 მუხლის ,,ი“–ქვეპუნქტისა და 34–ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ინფრასტრქტურის საკითხთა კომისიამ და ბიურომ განიხილა, ზემოთ აღნიშნული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების და მასზე არსებული შენობა-ნაგებობების საპრივატიზაციო ობიექტებად განსაზღვრისა და პრივატიზაციის საკითხი და მომზადდა შესაბამისი პროექტი, რომლის თანახმად,

1. - ქალაქ სამტრედიაში, დავით აღმაშენებლის გამზირი №1-ის მიმდებარედ 3000.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.68.232) განისაზღვროს საპრივატიზაციო ობიექტად.

- პრივატიზება განხორციელდეს ელექტრონული აუქციონის ფორმით.

- ელექტრონულ აუქციონზე საწყის საპრივატიზებო საფასურად განისაზღვროს 250 000 (ორას ორმოცდაათი ათასი) ლარი.

- ბიჯი განისაზღვროს 5 000 (ხუთი ათასი) ლარის ოდენობით.

- საგარანტიო თანხა განისაზღვროს 50 000 (ორმოცდაათი ათასი) ლარის ოდენობით.

- ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულმა პირმა ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში უნდა გადაიხადოს მუნიციპალიტეტის შეძენილი ქონების სრული ღირებულება.

2. - ქალაქ სამტრედიაში, გრიბოედოვის ქუჩაზე მდებარე 35695.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ქონების)

საკადასტრო კოდი №34.08.48.859) განისაზღვროს საპრივატიზაციო ობიექტად.

- პრივატიზება განხორციელდეს ელექტრონული აუქციონის ფორმით.

- ელექტრონულ აუქციონზე საწყის საპრივატიზებო საფასურად განისაზღვროს 536 000 (ხუთას ოცდათექვსმეტი ათასი) ლარი.

- ბიჯი განისაზღვროს 10 000 (ათი ათასი) ლარის ოდენობით.

- საგარანტიო თანხა განისაზღვროს 100 000 (ასი ათასი) ლარის ოდენობით.

- ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულმა პირმა ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში უნდა გადაიხადოს მუნიციპალიტეტის შეძენილი ქონების სრული ღირებულება.

3. - სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ იანეთში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (660.00 კვ.მ.) (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.07.45.550) არსებული №1 შენობა-ნაგებობა (საერთო ფართი 445.6 კვ.მ.) და სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდი ჯიხაიშში 1-ლი ქუჩა №5-ში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (486.00 კვ.მ.) (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.02.03.257) არსებული №1 შენობა-ნაგებობა განისაზღვროს საპრივატიზაციო ობიექტად.

- პრივატიზება განხორციელდეს პირობიანი ელექტრონული აუქციონის ფორმით.

- საწყის საპრივატიზებო საფასურად განისაზღვროს 15000 (თხუთმეტი ათასი) ლარი.

- ბიჯის ოდენობად განისაზღვროს 200 (ორასი) ლარი.

- საგარანტიო თანხის ოდენობად განისაზღვროს 7000 (შვიდი ათასი) ლარი.

პირობად განისაზღვროს, რომ:

- შენობა-ნაგებობისა და მისგან წარმოშობილი ნარჩენების გატანა უნდა განახორციელოს აუქციონში გამარჯვებულმა პირმა; ნარჩენების გატანის ხარჯები გაწეულ უნდა იქნეს აუქციონში გამარჯვებული პირის მიერ; ნარჩენების გატანის ვადად განისაზღვროს 90 (ოთხმოცდაათი) დღე. აღნიშნული 90 (ოთხმოცდაათი) დღიანი ვადა აითვალოს აუქციონში გამარჯვებული პირის მიერ აუქციონის შედეგად განსაზღვრული ღირებულების სრულად გადახდის დღიდან; ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში უნდა გადაიხადოს შეძენილი ქონების სრული ღირებულება.

4. - ქალაქ სამტრედიაში, **კალანდარიშვილის ქ.**№7-ში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (2223.00 კვ.მ.) (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.48.148) არსებული შენობა-ნაგებობები (№1 შენობა-ნაგებობის საერთო ფართი 590.70 კვ.მ. და №2 შენობა-ნაგებობის საერთო ფართი 24.00 კვ.მ) განისაზღვროს საპრივატიზაციო ობიექტად.

- პრივატიზება განხორციელდეს პირობიანი ელექტრონული აუქციონის ფორმით.

- საწყის საპრივატიზებო საფასურად განისაზღვროს 7 500 (შვიდი ათას ხუთასი) ლარი.

- ბიჯის ოდენობად განისაზღვროს 100 (ასი) ლარი.

- საგარანტიო თანხის ოდენობად განისაზღვროს 3 000 (სამი ათასი) ლარი.

პირობად განისაზღვროს, რომ:

- შენობა-ნაგებობისა და მისგან წარმოშობილი ნარჩენების გატანა უნდა განახორციელოს აუქციონში გამარჯვებულმა პირმა; ნარჩენების გატანის ხარჯები გაწეულ უნდა იქნეს აუქციონში გამარჯვებული პირის მიერ; ნარჩენების გატანის ვადად განისაზღვროს 30 (ოცდაათი) დღე. აღნიშნული 30 (ოცდაათი) დღიანი ვადა აითვალოს აუქციონში გამარჯვებული პირის მიერ აუქციონის შედეგად განსაზღვრული ღირებულების სრულად გადახდის დღიდან; ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში უნდა გადაიხადოს შეძენილი ქონების სრული ღირებულება.

პროექტის ირგვლივ შენიშნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 22-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (22 ხმით), დამტკიცდა განკარგულება, ქალაქ სამტრედიაში, დავით აღმაშენებლის გამზირი №1-ის მიმდებარედ 3000.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.68.232), ქალაქ სამტრედიაში, გრიბოედოვის ქუჩაზე მდებარე 35695.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.48.859), სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ იანეთში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (660.00 კვ.მ) მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.07.45.550) არსებული №1 შენობა-ნაგებობის (საერთო ფართი 445.6 კვ.მ.), სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდი ჯიხაიშში 1-ლი ქუჩა №5-ში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (486.00 კვ.მ) მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.02.03.257), არსებული №1 შენობა-ნაგებობის და ქალაქ სამტრედიაში, **კალანდარიშვილის ქ.**№7-ში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (2223.00 კვ.მ.) (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.48.148), არსებული შენობა-ნაგებობების (№1 შენობა-ნაგებობის საერთო ფართი 590.70 კვ.მ. და №2 შენობა-ნაგებობის საერთო ფართი 24.00 კვ.მ) საპრივატიზაციო ობიექტებად განსაზღვრისა და პრივატიზაციის შესახებ.

დღის წესრიგის II საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, ტარიელ ცომაიამ, საკრებულოს წევრებს გააცნო, განკარგულების პროექტი, ,,ქალაქ სამტრედიაში, თამარ მეფის ქუჩაზე მდებარე 33.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.56.084), განთავსებული 13.1 კვ.მ. შენობა-ნაგებობიდან 6.54 კვ.მ შენობა-ნაგებობის ელექტრონული აუქციონის წესით, იჯარის ფორმით, სარგებლობაში გაცემისთვის, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემისა და ქირის საწყისი წლიური საფასურის დადგენის შესახებ''.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილებით დამტკიცებული ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების“ 22–ე მუხლის მე–2 პუნქტისა და 36–ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიამ და ბიურომ, განიხილეს სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის საკითხი. მომზადდა განკარგულების პროექტი, რომლის თანახმად მიეცეს თანხმობა სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერს, რომ ელექტრონული აუქციონის წესით, იჯარის ფორმით, სარგებლობაში გასცეს ქალაქ სამტრედიაში, თამარ მეფის ქუჩაზე მდებარე 33.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.56.084) განთავსებული 13.1 კვ.მ. შენობა-ნაგებობიდან 6.54 კვ.მ. შენობა-ნაგებობა.

- ელექტრონული აუქციონის წესით, იჯარის ფორმით, სარგებლობაში გადაცემის ქირის საწყის წლიურ საფასურად (ქირის საწყის წლიურ ოდენობად) განისაზღვროს 600 (ექვსასი) ლარი.

- 6.54 კვ.მ. შენობა-ნაგებობის საგარანტიო თანხის ოდენობად განისაზღვროს 400 (ოთხასი)ლარი.

- ბიჯის ოდენობად განისაზღვროს 50 (ორმოცდაათი) ლარი.

- იჯარის ფორმით სარგებლობისათვის, ქირის გადახდა განხორციელდება ყოველთვიურად.

- იჯარის ფორმით, სარგებლობის ვადად განისაზღვროს 5 (ხუთი) წელი.

პროექტის ირგვლივ შენიშნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 22-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (22 ხმით), დამტკიცდა განკარგულება, ,,ქალაქ სამტრედიაში, თამარ მეფის ქუჩაზე მდებარე 33.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.56.084) განთავსებული 13.1 კვ.მ. შენობა-ნაგებობიდან 6.54 კვ.მ შენობა-ნაგებობის ელექტრონული აუქციონის წესით, იჯარის ფორმით, სარგებლობაში გაცემისთვის, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემისა და ქირის საწყისი წლიური საფასურის დადგენის შესახებ''.

დღის წესრიგის III საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, ტარიელ ცომაიამ, საკრებულოს წევრებს გააცნო, განკარგულების პროექტი, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ იანეთში მდებარე 3560.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.07.45.037) 500.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ელექტრონული აუქციონის წესით, აღნაგობის ფორმით, სარგებლობაში გაცემისთვის, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემისა და ქირის საწყისი წლიური საფასურის დადგენის შესახებ''.

წარმოდგენილი საკითხი განიხილა ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა განკარგულების პროექტი, რომლის თანახმად მიეცეს თანხმობა, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერს, რომ ელექტრონული აუქციონის წესით, აღნაგობის ფორმით, სარგებლობაში გასცეს, სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ იანეთში მდებარე 3560.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.07.45.037) 500.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი.

- ელექტრონული აუქციონის წესით, აღნაგობის ფორმით, სარგებლობაში გადაცემის ქირის საწყის წლიურ საფასურად (ქირის საწყის წლიურ ოდენობად) განისაზღვროს 1000 (ათასი) ლარი.

- საგარანტიო თანხის ოდენობად განისაზღვროს 300 (სამასი) ლარი.

- ბიჯის ოდენობად განისაზღვროს 100 (ასი) ლარი.

- აღნაგობის ფორმით სარგებლობისათვის, ქირის გადახდა განხორციელდება ყოველთვიურად.

- მიწის ნაკვეთის, აღნაგობის ფორმით, სარგებლობის ვადად განისაზღვროს 25 (ოცდახუთი) წელი.

პროექტის ირგვლივ შენიშნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 22-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (22 ხმით), დამტკიცდა განკარგულება, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ იანეთში მდებარე 3560.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (მიწის (უძრავი

ქონების) საკადასტრო კოდი №34.07.45.037) 500.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ელექტრონული აუქციონის წესით, აღნაგობის ფორმით, სარგებლობაში გაცემისთვის, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემისა და ქირის საწყისი წლიური საფასურის დადგენის შესახებ''.

დღის წესრიგის IV საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, ტარიელ ცომაიამ, საკრებულოს წევრებს გააცნო, განკარგულების პროექტი, ,,ქალაქ სამტრედიაში, კოპალეიშვილის ქუჩაზე მდებარე 7171.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის - სპორტული მოედნის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.42.909) აღნაგობის ფორმით, უსასყიდლო სარგებლობაში გადაცემის შესახებ, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე''.

აღნიშნული საკითხი განიხილა ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა განკარგულების პროექტი, რომლის თანახმად მიეცეს თანხმობა, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერს, რომ ლერი მეგენეიშვილს აღნაგობის ფორმით, უსასყიდლო სარგებლობაში გადასცეს ქალაქ სამტრედიაში, კოპალეიშვილის ქუჩაზე მდებარე 7171.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი - სპორტული მოედანი (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.42.909).

- აღნაგობის ფორმით, უსასყიდლო სარგებლობის ვადად განისაზღვროს 2 (ორი) წელი.

პროექტის ირგვლივ შენიშნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 22-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (22 ხმით), დამტკიცდა განკარგულება, ,,ქალაქ სამტრედიაში, კოპალეიშვილის ქუჩაზე მდებარე 7171.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის - სპორტული მოედნის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.42.909) აღნაგობის ფორმით, უსასყიდლო სარგებლობაში გადაცემის შესახებ, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე''.

დღის წესრიგის V საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, ტარიელ ცომაიამ, საკრებულოს წევრებს გააცნო, განკარგულების პროექტი, ,,2024 წელს, სამტრედიის მუნიციპალიტეტის დასახლებებში, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების მოწონების შესახებ''.

საკითხი განიხილა ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიამ, მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი, რომლის თანახმად, მოწონებულ იქნას 2024 წელს, სამტრედიის მუნიციპალიტეტის დასახლებებში, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტები, დანართი №1.

დანართი №1

2024 წელს, სამტრედიის მუნიციპალიტეტის დასახლებებში საქართველოს რეგიონებში, განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, დასაფინანსებელი პროექტები:

			საქართველოს			**საპროექტო-სახარჯთაღრიცხვ**

№	სოფელი	პროექტის დასახელება	მთავრობის განკარგულებით გამოყოფილი თანხა (ლარი)	თანადაფინანსება (ლარი)	პროექტის ღირებულება (ლარი)	ო დოკუმენტაციის მომზადების ღირებულება (ლარი)
1	დაბა კულაში	ამბულატორიის შენობის რეაბილიტაცია.	20 000	0	19 500	500
2	ბაში	სანიაღვრე არხისთვის მილ-ბოგირების მოწყობა.	2 000	0	1 950	50
3	ბაში	გარე განათების მოწყობა.	10 500	0	10 237	263
4	ბაში	საბავშვო ბაღის ეზოს კეთილმოწყობა.	7 500	0	7 312	188
5	გამოჩინებული	შიდა გზების მოხრეშვა.	10 000	0	9 750	250
6	დაბლაგომი	გარე განათების მოწყობა.	14 100	0	13 747	353
7	დაბლაგომი	სასმელი წყლის სისტემისთვის პოლიეთილენის მილების შეძენა.	1 900	0	1 900	0
8	გომმუხაყრუა	გომის საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია (ერთობლივი საპროექტო წინადადება).	10 000	0	9 750	250
9	გომმუხაყრუა	გარე განათების მოწყობა.	2 000	0	1 950	50
10	გომნატეხები	მე-5 ქუჩაზე რკინა-ბეტონის ცხაურის მოწყობა.	5 000	0	4 875	125
11	გომნატეხები	მგზავრთა მოსაცდელის რეაბილიტაცია.	5 300	0	5 167	133
12	გომნატეხები	გომის საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია (ერთობლივი საპროექტო წინადადება).	1 000	0	975	25
13	გომნატეხები	გარე განათების მოწყობა.	700	0	682	18
14	დაბლა ეწერი	ცენტრალური გზის გასწვრივ რკინა-ბეტონის ცხაურის მოწყობა.	1 800	0	1 755	45
15	დაბლა ეწერი	1200 მეტრი ფ40მმ-იანი პოლიეთილენის მილისა და 2 ტონიანი პოლიეთილენის ავზის	4 150	0	4 150	0

		შეძენა .				
16	დაბლა ეწერი	სკვერის შემოღობვა (ერთობლივი საპროექტო წინადადება).	4 050	0	3 948	102
17	დაფნარი	გზის სავალი ნაწილის გასწვრივ ბეტონის სანიაღვრე არხებისა და ცხაურების მოწყობა.	14 500	0	14 137	363
18	დაფნარი	გზის რეაბილიტაცია.	1 500	0	1 462	38
19	დობირო	პირველ დობიროში ბეტონის გზის დაგება.	11 000	0	10 725	275
20	დობირო	მეორე დობიროში სანიაღვრე არხის გაჭრა და გზის მოხრეშვა.	8 650	0	8 433	217
21	დობირო	გარე განათების მოწყობა.	350	0	341	9
22	ზედა ეწერი	გარე განათების მოწყობა.	1 500	0	1 462	38
23	ზედა ეწერი	პოლიეთილენის 5 ტონიანი წყლის ავზის მოწყობა.	5 500	0	5 362	138
24	ზედა ეწერი	მგზავრთა მოსაცდელის რეაბილიტაცია.	3 000	0	2 925	75
25	ზედა ეწერი	სკვერის შემოღობვა (ერთობლივი საპროექტო წინადადება).	2 000	0	1 950	50
26	კეთილაური	გზის მოხრეშვა, გზის სავალ ნაწილზე რკინა-ბეტონის ცხაურებისა და სანიაღვრე არხის მოწყობა.	10 000	0	9 750	250
27	კორმაღალი	წყლის 3 ტონიანი პოლიეთილენის ავზის შეძენა.	1 300	0	1 300	0
28	კორმაღალი	გზის რეაბილიტაცია და ცხაურების მოწყობა.	10 700	0	10 432	268
29	მთისძირი	სასაფლაოს ეზოს კეთილმოწყობისთვის ინვენტარის შეძენა.	7 150	0	7 150	0
30	მთისძირი	გარე განათების მოწყობა.	7 000	0	6 825	175
31	მთისძირი	გომის საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია (ერთობლივი საპროექტო წინადადება).	1 850	0	1 804	46
32	ცივწყალა	გზის მოხრეშვა, გზის				

		სავალ ნაწილზე რკინა-ბეტონის ცხაურებისა და სანიაღვრე არხის მოწყობა.	10 000	0	9 750	250
33	გორმაღალი	გარე განათების მოწყობა.	16 000	0	15 600	400
34	დიდი ჯიხაიში	სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია.	18 000	0	17 550	450
35	დიდი ჯიხაიში	საბავშვო ბაღისთვის ინვენტარის შეძენა.	2 000	0	2 000	0
36	პატარა ეწერი	სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია.	1 000	0	975	25
37	პატარა ეწერი	სკვერისა და სპორტული მოედნის კეთილმოწყობა.	11 000	0	10 725	275
38	ახალსოფელი	სანიაღვრე არხის რეაბილიტაცია.	1 000	0	975	25
39	ახალსოფელი	არსებული სკვერის რეაბილიტაცია.	2 500	0	2 437	63
40	ახალსოფელი	სპორტული მოედნის რეაბილიტაცია.	7 000	0	6 825	175
41	ახალსოფელი	საბორნე გადასასვლელის მიმდებარედ არსებული სკვერის კეთილმოწყობა.	5 500	0	5 362	138
42	გვიმრალა	სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია.	3 000	0	2 925	75
43	გვიმრალა	სასაფლაოს ტერიტორიის კეთილმოწყობა.	4 000	0	3 900	100
44	გვიმრალა	ორი არსებული სკვერის კეთილმოწყობა.	2 500	0	2 437	63
45	გვიმრალა	მგზავრთა მოსაცდელის რეაბილიტაცია.	2 500	0	2 437	63
46	კეჭინარი	მგზავრთა მოსაცდელთან ბეტონის დაგება.	1 300	0	1 267	33
47	კეჭინარი	სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია.	1 200	0	1 170	30
48	კეჭინარი	სპორტული მოედნის რეაბილიტაცია.	9 500	0	9 262	238
49	ოჭოფა	სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია.	1 000	0	975	25
50	ოჭოფა	არსებული საფრენბურთო მოედნის რეაბილიტაცია.	9 000	0	8 775	225
51	ჯიქთუბანი	გზის გვერდულების ეკალ-ბარდებისგან გაწმენდა.	5 000	0	4 875	125

52	ჯიქთუბანი	სანიაღვრე არხის რეაბილიტაცია.	2 000	0	1 950	50
53	ჯიქთუბანი	გზის მოხრეშვა.	5 000	0	4 875	125
54	იანეთი	სკვერის კეთილმოწყობა.	3 000	0	2 925	75
55	იანეთი	გარე განათების მოწყობა.	17 000	0	16 575	425
56	მელაური	საბავშვო ბაღის ეზოს კეთილმოწყობა.	12 000	0	11 700	300
57	მიწაბოგირა	არსებული სპორტული მოედნის რეაბილიტაცია.	16 000	0	15 600	400
58	ხიბლარი	არსებული სპორტული მოედნის რეაბილიტაცია.	16 000	0	15 600	400
59	ნაბაკევი	სასოფლო კლუბის მიმდებარედ არსებული სკვერისა და მგზავრთა მოსაცდელის კეთილმოწყობა.	7 000	0	6 825	175
60	ნაბაკევი	ნაბაკევის პირველ ქუჩაზე არსებული მგზავრთა მოსაცდელის რეაბილიტაცია.	5 000	0	4 875	125
61	ნაბაკევი	ნაბაკევის შემოსასვლელში არსებული ხიდის რეაბილიტაცია (ერთობლივი საპროექტო წინადადება).	4 000	0	3 900	100
62	კვირიკე	ცენტრალურ გზაზე მგზავრთა მოსაცდელის მოწყობა.	12 000	0	11 700	300
63	ნინუაკუთხე	მგზავრთა მოსაცდელის მოწყობა.	8 000	0	7 800	200
64	ნინუაკუთხე	ნაბაკევის შემოსასვლელში არსებული ხიდის რეაბილიტაცია (ერთობლივი საპროექტო წინადადება).	8 000	0	7 800	200
65	ჩხენიში	სკვერის რეაბილიტაცია-კეთილმოწყობა.	11 100	0	10 822	278
66	ჩხენიში	ხიდ-ბოგირის მოაჯირების მოწყობა.	4 900	0	4 777	123
67	ხუნჯულაუ	სანიაღვრე არხების	4 000	0	3 900	100

	რი	მოწყობა.				
68	ხუნჯულაური	მინი-სტადიონის რეაბილიტაცია.	6 000	0	5 850	150
69	ხუნჯულაური	მგზავრთა მოსაცდელის რეაბილიტაცია.	2 000	0	1 950	50
70	დიდი ოფეთი	გარე განათების მოწყობა.	10 000	0	9 750	250
71	თხილაგანი	წიაღუბანი-თხილაგანის დამაკავშირებელი საგზაო მონაკვეთის რეაბილიტაცია.	10 000	0	9 750	250
72	მტერჩვეული	სასაფლაოს შემოღობვა.	10 000	0	9 750	250
73	ნაწილოფეთი	მგზავრთა მოსაცდელის აშენება.	10 000	0	9 750	250
74	პატარა ოფეთი	გარე განათების მოწყობა.	10 000	0	9 750	250
75	წიაღუბანი	სასაფლაოს შემოღობვა.	10 000	0	9 750	250
76	საჯავახო	სპორტული ტრენაჟორების მოწყობა.	26 000	0	25 350	650
77	საჯავახო	სპორტული მოედნის რეაბილიტაცია.	6 000	0	5 850	150
78	ნიგორზღვა I	გარე განათების მოწყობა.	12 000	0	11 700	300
79	ნიგორზღვა II	სასაფლაოს კეთილმოწყობა.	10 000	0	9 750	250
80	ჭოგნარი	სკოლის მიმდებარედ სკვერის მოწყობა.	12 000	0	11 700	300
81	ტოლები	სასაფლაოსკენ მიმავალ გზაზე ბეტონის საფარის დაგება.	10 000	0	9 750	250
82	ბულნარა	ბეტონის გზის დაგება.	12 000	0	11 700	300
83	ვაზისუბანი	ქორეისუბნის სასაფლაოს შემოღობვა (ერთობლივი საპროექტო წინადადება).	16 000	0	15 600	400
84	ზემო ნოღა	სასაფლაოების შემოსაღობად მასალების შეძენა.	12 000	0	12 000	0
85	ზემო ტოლები	გარე განათების მოწყობა.	10 000	0	9 750	250
86	ქვემო ნოღა	გარე განათების მოწყობა.	12 000	0	11 700	300
87	ქორეისუბანი	ქორეისუბნის სასაფლაოს				

		შემოღობვა (ერთობლივი საპროექტო წინადადება).	10 000	0	9 750	250
88	ღანირი	სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია.	20 000	0	19 500	500
89	ჭაგანი	სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია.	10 000	0	9 750	250
90	ჭაგანი	სკვერის კეთილმოწყობა.	6 000	0	5 850	150
			686 000	**0**	**669 552**	**16 448**

აზრი გამოთქვა: ბადრი შენგელიამ.

ბადრი შენგელია - მე გამოვდივარ არა როგორც სოფლის დეპუტატი, არამედ როგორც სოფლის რიგითი მაცხოვრებელი. პროექტში წარმოდგენილია, რომ სოფელ ღანირში უნდა მოხდეს სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია. ვინ ღებულობს ამ პროცესში მონაწილეობას?. მე პირადად, სოფლის კრებაზე არ ვყოფილვარ და არვის არფერი უთქვამს.

გოჩა არველაძემ უპასუხა, რომ მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით, გაწერილი იყო ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში ჩასატარებელი სოფლის კრებები (დროის და ადგილმდებარეობის მითითებით), სადაც განიხილებოდა სოფლის მხარდაჭერის პროგრამით შესასრულ;ებელი სამუშაოები. ინფორმაცია იყო საჯარო. გამოკრული იყო მერიის ადმინსტრაციის შენობაში და ნებისმიერ მსურველს შესაძლებლობა ქონდა მონაწილეობა მიეღო პროექტების განხილვაში.

პროექტის ირგვლივ შენიშნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 22-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (22 ხმით), დამტკიცდა განკარგულება, ,,2024 წელს, სამტრედიის მუნიციპალიტეტის დასახლებებში, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების მოწონების შესახებ''.

სხდომის დასასრულს, ნუგზარ ჯამბურიამ, მადლობა გადაუხადა დამსწრე საზოგადოებას. ,,ის რაც დღეს აქ მოვისმინეთ, არ იყო უცხო. ბატონებო და ქლბატონებო! ჩვენ გვაქვს ერთადერთი მიზანი, ჩვენი ხვალინდელი დღის სიკეთე, ახალგაზრდების ჩართულობა, წიგნიერება. გადავცეთ ის, რაც ჩვენ გაგვაჩნია, რაც ჩვენმა წინაპრებმა დაგვიტოვა. მინდა ავღშნიშნო, რომ სოფლის პროგრამებთან დაკავშირებით (ადგილის, დროის და ადმინისტრაციული ერთეულის მითითებით) ინფორმირებული ვიყავით მერის ბრძანების საშუალებით. ამ პროცესში ჩართულობა იყო საჯარო და ღია. ნებისმიერ თქვენთაგანს შეეძლო აქტიური მონაწილეობა მიეღო პროექტების შერჩევასა და განხილვაში. 660000 ლარია გაოყოფილი ჩვენი მუნიციპალიტეტისათვის. ამ თანხით ყველაფერი ვერ გაკეთდება სოფლებში, მაგრამ ეტაპობრივად მოგვარდება ყველა პრობლემა.

მანანა სირბილაძე - მინდა ბოდიში მოგიხადოთ ჩემი ემოციური გამოსვლებისთვის. ბატონებო! ძალიან ძნელი მოსასმენია, მოღალატეს გეძახდეს იმ მთავრობის წარმომადგენლები, რომლებმაც დაკარგეს ჩვენი ტერიტორიის 20%, დახოცეს ჩვენი ახალგაზრდები, გაასხვისეს სტრატეგიული ობიექტები, დააბრალეს საქართველოს ომის დაწყება და ა.შ. ასეთი ხალხი ამტკიცებს, რომ ჩვენ ვართ ამ ქვეყნის პატრიოტები და თქვენ მოღალატეები. ეს ნამდვილად აუტანელია და მიუღებელია პირადად ჩემთვის.

ზაზა ადეიშვილი - კოლეგებო. ერთი ფრიად მნიშვნელოვანი საქმის შესახებ მინდა ინფორმაცია მოგაწოდოთ. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრებს შორის 13 სამტრედიელი. გვაქვს სურვილი, რომ უკვდავყოთ მათი სახელები. დავიწყეთ იმით, რომ ამ დარბაზში გავაკეთებთ ექსპოზიციას მათი ფოტოებითა და მოკლე ბიოგრაფიით. ამ დარბაზს მიენიჭება ,,საქართველოს პირველი რესპუბლიკის სახელობის, საკრებულოს სხდომათა დარბაზი''-ს სახელი. შექმნილია დროებითი სამუშაო ჯგუფი, რომელმაც რამდენიმე სხდომა ჩაატარა. ძირითადი საკითხები მოგვარებულია. დარჩენილია ფინანსური საკითხის მოწესრიგება. გვინდა ყველაფერი 26 მაისითვის მოესწროს.

აღნიშნულმა ინფორმაციამ, საკრებულოს წევრებისა და დარბაზში დამსწრე საზოგადოების, დიდი მოწონება დაიმსახურა.

ამით, დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა დასრულებულია.

სხდომის მდივანი: მაია ღოღობერიძე

ნუგზარ ჯამბურია

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი